პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— იანვარი 2026 წელი

ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, გუმბათების წყაროს ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის გრიგოლ რობაქიძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, გუმბათების წყაროს ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ უსახელო ქუჩას მიენიჭოს გრიგოლ რობაქიძის სახელი, (გაგრძელდეს გრიგოლ რობაქიძის ქუჩა) თანდართული რუკის თანახმად.

2. მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, გაუქმდეს გუმბათების წყაროს ქუჩის სახელი ანა ბაჯის I შესახვევიდან გუმბათების წყაროს ქუჩა N15 რეგისტრირებულ მისამართებამდე არსებულ ტერიტორიაზე.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

X=479335 Y=4610786
გრიგოლ რობაქიძის ქ.
X=479899 Y=4610683
1:2,500

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

09 / იანვარი / 2026 წ.

KA011713619537526

№ **1779**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გაცნობებთ, რომ 2025 წლის 31 დეკემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტოს") წარედგინა ხვიჩა ღარიბიანის (პ/ნ: 12001028955, საკონტაქტო ინფორმაცია: 593788694) № M25017005 განცხადება. განცხადებით მოთხოვნილია უძრავ ნივთზე საკადასტრო კოდით 01.81.02.153.013 ნუმერაციის მინიჭება/მისამართის დაზუსტება. ამასთან, მიმდინარე მომენტისთვის მითითებულ უძრავ ნივთს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში საიდენტიფიკაციო მონაცემად აღრიცხული აქვს ჩანაწერი: „ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა".

სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავ ნივთთან მისასვლელი გზის მონაკვეთი არ არის სახელდებული კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით". საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ შესაბამის უძრავ ნივთთან მისასვლელი გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესაძლებლობა და დადებითი პასუხის შემთხვევაში, უზრუნველყოთ მისი სახელდება.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სიტუაციური ნახაზი

N

განცხადების ნომერი: M25017005

მომზადების თარიღი: 31/12/2025

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032602216**
თარიღი: **22/01/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2026 წლის 09 იანვრის საქმე #06-032600917-03 დაკავშირებით, რომლითაც ხვიჩა ღარიბიანის N M25016346 განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება (ს.კ.01.81.02.153.013).
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ გუმბათების წყაროს ქუჩის მონაკვეთის და მისი გავრცელების არეალის კორექტირების სიტუაციური ნახაზი დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01260262145**
თარიღი: **26/01/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 22.01.2026 წლის # 03-032602216 (22.01.2026წ. #14-01260221446-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი